Georgian | ქართული

Mayor's Office of Immigrant Affairs

რესურსები იმიგრანტი ნიუ-იორკელებისთვის

ნიუ-იორკი მზადაა თქვენს დასახმარებლად, თქვენი საიმიგრაციო სტატუსის განურჩევლად.

იურიდიული დახმარება იმიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით

იმიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით სრული და უსაფრთხო იურიდიული დახმარების მისაღებად დარეკეთ ნომერზე 800-354-0365, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9:00-დან 18:00 სთ-მდე.

ნიუ-იორკის მაცხოვრებლის საიდენტიფიკაციო ბარათი

მოითხოვეთ IDNYC, უფასო მუნიციპალური საიდენტიფიკაციო ბარათი ნიუ-იორკის 10 წლის და უფროსი ასაკის ყველა მაცხოვრებლისთვის. განაახლეთ ონლაინ ან დაგეგმეთ ვიზიტი რეგისტრაციისთვის, **დარეკეთ ნომერზე 311** ან ეწვიეთ გვერდს **nyc.gov/idnyc**

ინგლისურის გაკვეთილები

ISწავლეთ **ინგლისური უფასოდ** ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ გვერდს **wespeaknyc.cityofnewyork.us**.

ჯანდაცვა

NYC Health + Hospitals (H+H) უზრუნველყოფს სასწრაფო დახმარებას, საბაზისო სამედიცინო მომსახურებას, პროფილაქტიკურ გამოკვლევებს, ვაქცინაციას და სხვ. **დარეკეთ ნომერზე 1-844-NYC-4NYC (1-844-692-4692) უახლოეს ცენტრთან დასაკავშირებლად.** სამედიცინო დაზღვევის პროგრამებში რეგისტრაციისთვის, **NYC Care** პროგრამის ჩათვლით, დარეკეთ ნომერზე **646-NYC-CARE (646-692-2273)** ან ეწვიეთ გვერდს **nyccare.nyc**

მენტალური ჯანმრთელობა

მენტალურ ჯანმრთელობასთან და ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით კონფიდენციალური მხარდაჭერის მისაღებად და შესაბამის სპეციალისტებთან დასაკავშირებლად დარეკეთ ნომერზე **888-692-9355 ან 988**, ან გაგზავნეთ ტექსტური შეტყობინება **WELL ნომერზე 65173.** ნიუ-იორკის მაცხოვრებლებს შეუძლიათ ეწვიონ გვერდს **nyc.gov/mentalhealthaccess** ნიუ-იორკში არსებული მენტალური ჯანმრთელობის სერვისების მრავალენოვანი რესურსების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ან გამოიყენონ ნიუ-იორკის ონლაინ ცნობარი 988 გვერდზე **nyc.gov/mentalhealthservices** მენტალური ჯანმრთელობის სერვისების მოსაძებნად.

საგანგებო მდგომარეობა

საგანგებო მდგომარეობაში დარეკეთ ნომერზე 911. საგანგებო მდგომარეობა ისეთი სიტუაციაა, რომელიც საჭიროებს პოლიციის, სახანძრო ან სამედიცინო სამსახურის გადაუდებელ დახმარებას. **კანონის შესაბამისად, ქალაქ ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს (New York City Police Department) არ აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია დანაშაულის მსხვერპლის, მოწმის ან სხვა ისეთი პირის საიმიგრაციო სტატუსის შესახებ, რომელიც დახმარებას ითხოვს.**

საჯარო განათლება

4 წლიდან 21 წლამდე ნიუ-იორკში მცხოვრებ ყველა ბავშვს შეუძლია იაროს საჯარო სკოლაში. რეგისტრაციისთვის ეწვიეთ გვერდს **schools.nyc.gov/fwc** ან **დარეკეთ ნომერზე 311.**

ქალაქის ზოგადი რესურსები და ინფორმაცია

გჭირდებათ წვდომა ქალაქის რესურსებზე ან გსურთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია პრობლემის შესახებ? დარეკეთ ნომერზე **311** ან ეწვიეთ გვერდს **portal.311.nyc.gov**

ნიუ-იორკის ცხელი ხაზი იმიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით

დარეკეთ ჩვენი ცხელი ხაზის ნომერზე 212-788-7654 ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9:00-დან 17:00 სთ-მდე, ან მოგვწერეთ ელფოსტის მისამართზე **askmoia@cityhall.nyc.gov**

Georgian | ქართული

Mayor's Office of Immigrant Affairs

რესურსები იმიგრანტი ნიუ-იორკელებისთვის

თქვენ გაქვთ უფლებები, თქვენი საიმიგრაციო სტატუსის განურჩევლად.

თავიდან აიცილეთ საიმიგრაციო თაღლითობა

თუ იურიდიული დახმარება გჭირდებათ იმიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, მიმართეთ მხოლოდ ლიცენზირებულ ადვოკატს ან იუსტიციის დეპარტამენტის (Department of Justice, DOJ) მიერ აკრედიტებულ წარმომადგენელს. მომსახურების აკრედიტებული და აღიარებული მომწოდებლების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ გვერდზე **nyc.gov/immigrationfraud**

უფლებები საიმიგრაციო კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით

ნიუ-იორკი არ ახორციელებს საიმიგრაციო კანონმდებლობის აღსრულებას. თუ თქვენ მიმართ ხორციელდება ფედერალური საიმიგრაციო კანონმდებლობის აღსრულება, თქვენ გაქვთ გარკვეული უფლებები. ეწვიეთ გვერდს **nyc.gov/knowyourrights** ან დარეკეთ ჩვენს საიმიგრაციო საკითხებთან დაკავშირებული უფასო იურიდიული ცხელი ხაზის ნომერზე **800-354-0365**

მუშაკთა უფლებები

ქალაქ ნიუ-იორკის კანონის შესაბამისად, თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ შვებულება ავადმყოფობის გამო, მინიმალური ხელფასი, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება და ა.შ. ეწვიეთ გვერდს **nyc.gov/workers** შესაბამისი რესურსებისთვის ან დარეკეთ ნომერზე **212-436-0380**

ინფორმირება დისკრიმინაციის შესახებ

ადამიანის უფლებების შესახებ ნიუ-იორკის კანონის შესაბამისად, შევიწროება და დისკრიმინაცია უკანონოა. დისკრიმინაციის შესახებ ინფორმირებისთვის დარეკეთ ნომერზე **212-416-0197** ან ეწვიეთ გვერდს **nyc.gov/reportdiscrimination**

დაცვა ოჯახური ძალადობისგან

ნიუ-იორკი მზად არის დაგეხმაროთ, თუ ძალადობის მსხვერპლი ხართ. შეგიძლიათ ეწვიოთ გვერდს **nyc.gov/nychope** ან დარეკოთ ნიუ-იორკის ოჯახური ძალადობის ცხელი ხაზის ნომერზე **800-621-HOPE**

მოიჯარეთა უფლებები

გჭირდებათ დახმარება გამოსახლებასთან ან მეიჯარესთან დაკავშირებულ საკითხებზე? ეწვიეთ გვერდს **nyc.gov/tenantprotection** ან დარეკეთ ნომერზე **311** და წარმოთქვით **„tenant helpline" (მოიჯარის დახმარების ხაზი)** უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად

თავშესაფრის მოთხოვნის უფლება

თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თავშესაფარი, თუ უსახლკარო ხართ. თავშესაფრის სერვისებზე წვდომის მისაღებად ეწვიეთ უსახლკაროთა მომსახურების დეპარტამენტის (Department of Homeless Services, DHS) განცხადებათა მიღების სპეციალურ ცენტრს. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომერზე **311**

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

პრობლემა გაქვთ რომელიმე ორგანიზაციასთან დაკავშირებით? როგორც მომხმარებელს, გარკვეული უფლებები გაქვთ. შეიტანეთ საჩივარი გვერდზე **nyc.gov/consumers** ან დარეკეთ ნომერზე **311**